



რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი

პროფესიული სტანდარტი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2018 წელი

1. **დასახელება (ქართულად):**
რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი
2. **პროფესიის დასახელება (ინგლისურად):**
Electrical mechanic of power supply of railways
3. **პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:**
4. **პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით: 7412**
5. **დასაქმების სფეროს აღწერა:**
რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი არის სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობების გეგმიური და არაგეგმიური ტექნიკური მომსახურების და რემონტის (მიმდინარე, კაპიტალური, ავარიული) სამუშაოებსა და მასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ორგანიზებას. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი საქმიანობას ახორციელებს როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში, ნებისმიერ მეტეოროლოგიურ პირობებში, სიმაღლეზე.
6. **სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:**
რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი შეიძლება დასაქმდეს ელექტრომექანიკოსად როგორც რკინიგზის, აგრეთვე ნებისმიერ სამრეწველო, სამოქალაქო, სოფლის მეურნეობის ობიექტებზე, ელექტრომონტიორად ნებისმიერ საწარმოში, გააჩნია თვითდასაქმების შესაძლებლობაც.
7. **აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:**
კანონმდებლობით არ არის დადგენილი.
8. **პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:**

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1.	უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	1.1. უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას; 1.2. იცავს (პირად და სამუშაო ადგილის) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებს; 1.3. იცავს შრომითი უსაფრთხოების ნორმებს; 1.4. იცავს გარემოს დაცვით ნორმებს; 1.5. იცავს პროფესიულ ეთიკას; 1.6. უზრუნველყოფს მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოებას საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში;

		1.7. უზრუნველყოფს საკუთარი და მასზე დაქვემდებარებული პირების სიცოცხლის უსაფრთხოებას.
2.	სამუშაო გარემოს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების გატარება	2.1. იღებს დავალებას; 2.2. გასცემს მატარებლების გაფრთხილებას; 2.3. აფორმებს განაწესს; 2.4. ატარებს უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟს; 2.5. აწარმოებს დარღვევების რეგისტრაციას; 2.6. აწარმოებს ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმებას.
3.	ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების ტექნიკური მომსახურება	3.1. აწარმოებს შემოვლა - დათვალიერებას; 3.2. ამზადებს სამუშაო ადგილს; 3.3. აწარმოებს საკონტაქტო ქსელის ტექნიკურ მომსახურებას; 3.4. აწარმოებს წევის ქვესადგურების ტექნიკურ მომსახურებას; 3.5. აწარმოებს ელექტრომომარაგების რაიონის ტექნიკური მომსახურებას; 3.6. ახორციელებს კონტროლს სხვა ორგანიზაციების მიერ სამუშაოთა შესრულებისას; 3.7. ირჩევს სამუშაო მასალებს, ინსტრუმენტებს და დამცავ საშუალებებს ტექნიკური მომსახურებისას.
4.	ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტი	4.1. გეგმავს ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტს; 4.2. აწარმოებს საკონტაქტო ქსელის მიმდინარე რემონტს; 4.3. აწარმოებს წევის ქვესადგურების მიმდინარე რემონტს; 4.4. აწარმოებს ელექტრომომარაგების რაიონის მიმდინარე რემონტს; 4.5. ირჩევს სამუშაო მასალებს, ინსტრუმენტებს და დამცავ საშუალებებს ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტისას.

5.	ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების კაპიტალური რემონტი	<p>5.1. მონაწილეობს სადეფექტო აქტის შედგენაში;</p> <p>5.2. ირჩევს სამუშაო მასალებს, ინსტრუმენტებს და დამცავ საშუალებებს კაპიტალური რემონტისას;</p> <p>5.3. აწარმოებს საკონტაქტო ქსელის კაპიტალურ რემონტს;</p> <p>5.4. აწარმოებს წვევის ქვესადგურების კაპიტალურ რემონტს;</p> <p>5.5. აწარმოებს ელექტრომომარაგების რაიონის კაპიტალურ რემონტს.</p>
6.	არაგეგმიური სამუშაოების ჩატარება	<p>6.1. აწარმოებს ავარიების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებს;</p> <p>6.2. აწარმოებს რიგგარეშე დათვალირება-შემოვლას რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში;</p> <p>6.3. აწარმოებს ზემდგომის მიერ მოთხოვნილი სამუშაოების შესრულებას;</p> <p>6.4. აწარმოებს ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების არაგეგმიური სამუშაოებს;</p> <p>6.5. განსაზღვრავს სამუშაო მასალებს, ინსტრუმენტებს და დამცავ საშუალებებს არაგეგმიური სამუშაოების ჩატარებისას;</p> <p>6.6. აღმოფხვრის უსაფრთხოების რევიზორების მიერ აღმოჩენილ დარღვევებს.</p>
7.	ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების და დამცავი საშუალებების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების გაზომვა	<p>7.1. ახორციელებს წვეისა და სატრანსფორმა-ტორო ქვესადგურების მოწყობილობა-დანადგარებზე გაზომვით სამუშაოებს;</p> <p>7.2. ახორციელებს საკონტაქტო ქსელის პარამეტრების გაზომვით სამუშაოებს;</p> <p>7.3. ახორციელებს მაღალი და დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების პარამეტრების გაზომვის სამუშაოებს;</p> <p>7.4. ახორციელებს დამცავი საშუალებების გაზომვას;</p>

		7.5. მონაწილეობას იღებს მოწყობილობების კომისიურ დათვალიერებებში.
8.	პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა	8.1. ეცნობა ორგანიზაციის სტრუქტურასა და საკუთარ უფლება-მოვალეობებს; 8.2. აფასებს საკუთარ კომპეტენციებს, ცოდნასა და უნარებს; 8.3. გეგმავს საკუთარ პროფესიული განვითარებას; 8.4. ეცნობა პროფესიულ სიახლეებს; 8.5. ერთვება პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.

9. პიროვნული თვისებები:

- ყურადღებიანობა
- ორგანიზებულობა
- პასუხისმგებლიანობა

10. მატერიალური რესურსი:

ა) ინვენტარი, აღჭურვილობა:

- მართვის სადგური;
- კონდენსატორი;
- კონტაქტი სწრაფმოქმედი ამომრთველის;
- მცველი;
- კამერა რკალმქრობი;
- კოჭა რკალმქრობი;
- შტანგა ნაჭედი;
- შუალედი სანაპერწკლო;
- ბლოკი საკომპენსატორო;
- ბუგელი;
- ორმაგი საკონტაქტო ქსელის დამჭერი;
- კოუში ჩანგლისებრი;
- კრონშტეინი;
- მომჭერი;
- მხრეული;
- საჭიმარი;
- კვანძი სამაგრი;
- ტრავერსი;
- უნაგირა;
- ყური სახსრიანი;
- კლიფსი;
- დგარი შეუღლებული;
- ცალული;
- ქურო;

- ჩამრთველ-ამომრთველი;
- ძაბვის მაჩვენებელი ციფას მილი;
- ინდიკატორი ფაზამზომი;
- ამპერმეტრი;
- ამომრთველი ავტომატური;
- გადამრთველი;
- გამთიში;
- განმუხტველი;
- ჩამრთველი ელექტრული;
- პროექტორი;
- საჭრისი სახარატო;
- ამომრთველი სწრაფმოქმედი;
- ამომრთველი მაღალი ძაბვის;
- ტრანსფორმატორი ძალოვანი სამფაზა;
- ტრანსფორმატორი წვევის;
- გამმართველი აგრეგატი;
- რეაქტორი მათანაბრებელი;
- კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგური;
- გენერატორი 10 კვტ-მდე სიმძლავრის
- საკონტაქტო ქსელის;
- წვევის ქვესადგურებისა და ენერგეტიკული მეურნეობის მოწყობილობები;
- ელექტრომომარაგების მეურნეობის მოწყობილობები;
- აკუმულატორი;
- იზოლატორი;
- მავთული ბიმეტალის;
- მავთული სპილენძის;
- დროსელი;
- ნათურა ვარვარის;
- ნათურა ჰალოგენის;
- დიოდი;
- რელე;
- ლენტა საიზოლაციო;
- რუბეროიდი;
- საღებავი;
- დამლა ტყვიის;
- სალტე ალუმინის;
- ელექტროდი მუდმივი;
- ცვლადი დენის;
- რკინა კუთხოვანა;
- ქანჩი;
- ჭანჭიკი ქანჩით;
- კონსოლი;
- ფიქსატორი;
- კონსტრუქცია ლითონის;
- პოლისპასტი;

- მანქეტი;
- გამტარი ფოლად-ალუმინის;
- კაბელი საკონტროლო;
- კაბელი ძალოვანი დაბალი ძაბვის;
- სადენი საკონტაქტო;
- სადენი სამონტაჟო;
- ფილტრი ზეთის და დიზელის;
- ხუნდი;
- მილი პლასტმასის;

ბ) მასალა, ნედლეული:

- სათვალე დამცავი;
- ქამარი დამცავი მონტიორის;
- ჩაფხუტი სამორიგეო;
- ხელთათმანი ბრეზენტის;
- ხელთათმანი დიელექტრიკული;
- ლაბადა;
- ჟილეტი;
- ქურთუკი;
- ჩექმა;
- ელექტრომონტიორის ჩანთა;
- ცეცხლმაქრი.

11. სამომავლო ტენდენციები:

- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოს რკინიგზაში

12. პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები • სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები • შრომის დაცვის ღონისძიებები; • ორგანიზაციის მიერ დაწესებული შრომითი დისციპლინის მოთხოვნები • გარემოს დაცვითი ღონისძიებები • საინჟინრო ეკოლოგიის მოთხოვნები • ელექტრომექანიკოსის მიერ სამუშაოების შესრულებისას • პროფესიული ეთიკის ნორმები 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაზარალებულისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა • პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება სანიტარულ – ჰიგიენური ნორმების მოთხოვნათა დაცვით • პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება შრომის დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით • შრომითი დისციპლინის დაცვა • შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარება

		<ul style="list-style-type: none"> • მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი წესები • სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები • მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია • სიგნალიზაციის ინსტრუქცია; • სიცოცხლის უსაფრთხოების წესები • უსაფრთხოების ტექნიკის წესები • ელექტრო უსაფრთხოების წესები • ხანძარუსაფრთხოების წესები 	<ul style="list-style-type: none"> • გარემოსთვის უსაფრთხოდ პროფესიული საქმიანობის წარმოება საინჟინრო ეკოლოგიის მოთხოვნების გათვალისწინებით; • ეთიკის ნორმების დაცვა • მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საკუთარი და მასზე მიმაგრებული თანამშრომლების პროფესიული საქმიანობისას • ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და ინსტრუქციების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება • სიცოცხლის უსაფრთხოების, უსაფრთხოების ტექნიკის, ელექტრო უსაფრთხოებისა და ხანძარუსაფრთხოების წესების გამოყენება მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად • სწრაფად და სწორად რეაგირება საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში
2.	<p>სამუშაო გარემოს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების გატარება</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ელექტრომექანიკოსის კვალიფიკაციის მქონე პირისადმი თანამდებობრივი ინსტრუქციით წაყენებული მოთხოვნები • ზოგადი ცნობები რკინიგზის შესახებ • მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი წესები • სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები • მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოქმედი საკანონმდებლო, ნორმატიული აქტებისა და ორგანიზაციის წესდების შესაბამისად პრაქტიკული საქმიანობის წარმოება • სამუშაოს მოცულობისა და სპეციფიკის მიხედვით სამუშაო დღის დაგეგმვა • მის დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალის კომპეტენციის განსაზღვრა დავალების გაცემის დროს • გაფრთხილების ადგილმდებარეობის, კლასიფიკაციის და ვადების დადგენა • გასცეს წერილობითი გაფრთხილება

- რკინიგზის ელექტროდისპეტჩერის ინსტრუქცია
- გაფრთხილების აღრიცხვისა და გაცემის ინსტრუქცია;
- სიგნალიზაციის ინსტრუქცია;
- ტექსტური დოკუმენტის მომზადების წესები
- ინსტრუქტაჟის წარმართვის წესები
- მასალათმცოდნეობის საფუძვლები
- მეტროლოგიის საფუძვლები
- ხაზვის საფუძვლები
- გამოყენებითი მექანიკის საფუძვლები
- ელექტროტექნიკის საფუძვლები
- საზეინკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოების წესის წარმოების წესი
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა სქემები, მომსახურების ტექნიკური ნორმები, შესაძლო უწყესივრობები და მათი აღმოფხვრის მეთოდები
- ელექტრომეურნეობის მოწყობილობებში აღმოჩენილი დარღვევების რეგისტრაციის წესი
- სახელმწიფო ენა
- სამუშაოს ანგარიშის შედგენის წესი
- საკონტაქტო ქსელის რაიონების ოპერატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნები

- ელექტრომომარაგების მეურნეობის მოწყობილობების უწყესივრობისას
- გასცეს გაფრთხილება ელმომარაგების მეურნეობის მოწყობილობებთან სამუშაოების (ტექნიკური მომსახურების, მიმდინარე და კაპიტალური რემონტების, არაგემიური სამუშაოების) წარმოებისას
- გასცეს გაფრთხილება უგაბრიტო ტვირთების გატარებისას საკონტაქტო ქსელთან ან მაღალი და დაბალი ძაბვის ხაზებთან გაბარიტების მიახლოებისას
- გასცეს გაფრთხილება ასაღები და არაასაღები სალიანდაგო სვლის ერთეულების მოძრაობისას
- გასცეს გაფრთხილება რთული მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე
- დაიცვას გაფრთხილების გეგმის და არასტანდარტულ სიტუაციებში მოქმედების წესი
- სამუშაოს შესრულების კატეგორიის დადგენა ინსტრუქციის შესაბამისად;
- სამუშაოების უსაფრთხოდ შესასრულებლად გადართვების ჩატარება
- დადგენილი წესის შესაბამისად დამიწების მოწყობა
- ინსტრუქციის შესაბამისად უსაფრთხოების დამატებით ღონისძიებების ჩატარება;
- სამუშაოს ხასიათისა და მოცულობის მიხედვით ბრიგადის შემადგენლობის განსაზღვრა

			<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის აღწერა • სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარება • სწორად განსაზღვროს ბრიგადის სამუშაოზე დამშვები პირი • დაიცვას ელექტრომეურნეობის მოწყობილობებში აღმოჩენილი უწყესივრობის შეტყობინების გადაცემის წესი • ელექტრომოწყობილობებში აღმოჩენილი უწყესივრობის სირთულის მიხედვით დარღვევებისა და უწყესივრობების აღრიცხვის ჟურნალში გაფორმება ინსტრუქციის შესაბამისად • ელექტრომოწყობილობებში აღმოჩენილი უწყესივრობის სირთულის მიხედვით აღმოსაფხვრელი ღონისძიებების შედგენა • საკუთარი კომპეტენციის განსაზღვრა კომისიური დათვალიერებების შედეგების აქტის გაფორმებაში • შესრულებული სამუშაოს ანგარიშის სრულყოფილად და წესის დაცვით შედგენა • შესრულებული სამუშაოს ანგარიშს დროულად წარდგენა
3.	<p>ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების ტექნიკური მომსახურება</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მასალათმცოდნეობის საფუძვლები • მეტროლოგიის საფუძვლები; • გამოყენებითი მექანიკის საფუძვლები • ელექტროტექნიკის საფუძვლები 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინსტრუქციის შესაბამისად ფეხით შემოვლა - დათვალიერება • ინსტრუქციის შესაბამისად ავტომატრისით, ავტოდრეზინით,

- საზენიტლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოების წესი
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა სქემები
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა მომსახურების ტექნიკური ნორმები
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა შესაძლო უწყვეტობები
- მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი წესები
- სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები
- მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია
- სიგნალიზაციის ინსტრუქცია;
- რკინიგზის საკონტაქტო ქსელის რაიონის მომსახურე პერსონალის შრომის დაცვის ინსტრუქცია
- რკინიგზის წვეის ქვესადგურის მომსახურე პერსონალის შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია
- ელექტროფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელისა და ავტობლოკირების ელექტრომომარაგების მოწყობილობათა ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესები
- ელექტროფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელის

- მატარებლით შემოვლა - დათვალიერება
- ინსტრუქციის შესაბამისად ვაგონ - ლაბორატორიით შემოვლა - დათვალიერება
- ინსტრუქციის შესაბამისად შემოვლა საკონტაქტო ქსელისა და პანტოგრაფის ურთიერთქმედების შემოწმებით
- დადგენილი წესის შესაბამისად ინფორმაციის გადაცემა აღმოჩენილი დარღვევების შესახებ
- სამუშაო ადგილის მოსამზადებლად ნებართვის აღება
- მიმდინარე ინსტრუქტაჟის ჩატარება და სამუშაოზე დაშვება
- ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების ტექნიკური მომსახურების ზედამხედველობა
- ტექნიკური ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც უზრუნველყოფს სამუშაოს უსაფრთხოებას ძაბვის მოხსნით და ჩამიწებით
- ტექნიკური ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც უზრუნველყოფს სამუშაოს უსაფრთხოებას ძაბვის ქვეშ
- ტექნიკური ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც უზრუნველყოფს ძაბვის ქვეშ არსებული ნაწილების მახლობლად სამუშაოების უსაფრთხოებას
- წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით საკონტაქტო ქსელის ტექნიკური მომსახურების სამუშაოს დაგეგმვა

		<p>ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის წესები</p> <ul style="list-style-type: none"> • რკინიგზის წვეის ქვესადგურების მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების წესები • რკინიგზის ელექტრომომარაგების რაიონის მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების წესები • ელექტრომექანიკოსის სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების სახეები • ელექტრომექანიკოსის სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების ფუნქციონალური დანიშნულება 	<ul style="list-style-type: none"> • საკონტაქტო ქსელის ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა თანმიმდევრობის განსაზღვრა ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად • საკონტაქტო ქსელის ტექნიკური მომსახურება ტექნიკური მომსახურების ნორმების დაცვით; • საკონტაქტო ქსელის ტექნიკური მომსახურება უსაფრთხოების წესების დაცვით • წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით წვეის ქვესადგურების ტექნიკური მომსახურების სამუშაოს დაგეგმვა • ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა თანმიმდევრობის განსაზღვრა ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად • წვეის ქვესადგურების ტექნიკურ მომსახურება ტექნიკური მომსახურების ნორმების დაცვით • წვეის ქვესადგურების ტექნიკურ მომსახურება უსაფრთხოების წესების დაცვით • წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით ელექტრომომარაგების რაიონის ტექნიკური მომსახურების სამუშაოს დაგეგმვა • ელექტრომომარაგების რაიონის ტექნიკურ მომსახურების სამუშაოთა თანმიმდევრობის განსაზღვრა ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად • ელექტრომომარაგების რაიონის ტექნიკურ მომსახურება ტექნიკური
--	--	---	---

			<p>მომსახურების ნორმების დაცვით</p> <ul style="list-style-type: none"> • ელექტრომომარაგების რაიონის ტექნიკურ მომსახურება უსაფრთხოების წესების დაცვით • რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობების განთავსების ადგილის დადგენა არსებული სქემების მიხედვით ან/და გაზომვების საშუალებით • რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობების დაზიანების თავიდან ასაცილებლად მონიტორინგის განხორციელება დადგენილი ნორმების მიხედვით • საჭირო სამუშაო აღჭურვილობის სახეების განსაზღვრა რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებისთვის • მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების შერჩევა სამუშაოს სპეციფიკის მიხედვით • მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების რაოდენობის დადგენა სამუშაოს მოცულობის მიხედვით • სამუშაო ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების გამოყენება უსაფრთხოების წესების დაცვით
4.	<p>ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტი</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზოგადი ცნობები რკინიგზების შესახებ • ელექტროტექნიკის საფუძვლები 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტის სამუშაოების განსაზღვრა გეგმის მიხედვით

- საზენკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოების წესი
- ელექტრულ დანადგართა მოწყობის ზოგადი წესები
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა სქემები
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა მომსახურების ტექნიკური ნორმები
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა შესაძლო უწყვეტობები
- სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები
- სიგნალიზაციის ინსტრუქცია;
- მატრებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია
- ინსტრუქცია ელექტროფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელის დაზიანებათა აღდგენის წესის შესახებ
- რკინიგზის საკონტაქტო ქსელის მიმდინარე რემონტის წარმოების წესები
- რკინიგზის წვეის ქვესადგურების მიმდინარე რემონტის წარმოების წესები;
- რკინიგზის ელექტრომომარაგების რაიონის მიმდინარე რემონტის წარმოების წესები
- იცის ელექტრომექანიკოსის სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების სახეები
- იცის ელექტრომექანიკოსის სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი

- სამუშაოს სპეციფიკის შესაბამისად ფანჯრის გამოყოფის საჭიროების დადგენა
- სამუშაოს მოცულობისა და სირთულის შესაბამისად ფანჯრის ხანგრძლივობის გაანგარიშება
- სამუშაოს სპეციფიკის შესაბამისად ტექნიკის გამოყენების საჭიროების დადგენა
- სადეფექტო აქტების მონაცემების მიხედვით საკონტაქტო ქსელის მიმდინარე რემონტის სამუშაოს დაგეგმვა
- საკონტაქტო ქსელის მიმდინარე რემონტის სამუშაოთა თანმიმდევრობის განსაზღვრა ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად
- საკონტაქტო ქსელის მიმდინარე რემონტის ჩატარება ელექტროფიცირებული რკინიგზების რემონტის წესების დაცვით
- საკონტაქტო ქსელის მიმდინარე რემონტის ჩატარება უსაფრთხოების წესების დაცვით
- წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით წვეის ქვესადგურების მიმდინარე რემონტის სამუშაოს დაგეგმვა
- წვეის ქვესადგურების მიმდინარე რემონტის განსაზღვრა სამუშაოთა თანმიმდევრობას ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად
- წვეის ქვესადგურების მიმდინარე რემონტის ჩატარება

		<p>საშუალებების ფუნქციონალური დანიშნულება</p> <ul style="list-style-type: none"> • უსაფრთხოების წესები 	<p>ელექტროფიცირებული რკინიგზების რემონტის წესების დაცვით</p> <ul style="list-style-type: none"> • წევის ქვესადგურების მიმდინარე რემონტის ჩატარება უსაფრთხოების წესების დაცვით • წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით ელექტრომომარაგების რაიონის მიმდინარე რემონტის სამუშაოს დაგეგმვა • ელექტრომომარაგების რაიონის მიმდინარე რემონტის სამუშაოთა თანმიმდევრობის განსაზღვრა ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად • ელექტრომომარაგების რაიონის მიმდინარე რემონტის ჩატარება ელექტროფიცირებული რკინიგზების რემონტის წესების დაცვით • ელექტრომომარაგების რაიონის მიმდინარე რემონტის ჩატარება უსაფრთხოების წესების დაცვით • საჭირო სამუშაო აღჭურვილობის სახეების განსაზღვრა რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობების მიმდინარე რემონტისას • საჭირო სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების შერჩევა სამუშაოს სპეციფიკის მიხედვით • სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების რაოდენობის დადგენა სამუშაოს მოცულობის მიხედვით
--	--	---	--

			<ul style="list-style-type: none"> • სამუშაო ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების გამოყენება უსაფრთხოების წესების დაცვით
5.	<p>ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების კაპიტალური რემონტი</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზოგადი ცნობები რკინიგზების შესახებ • კომპიუტერული ტექნოლოგიები • ელექტროტექნიკის საფუძვლები • ელექტრულ დანადგართა მოწყობის ზოგადი წესები • რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა სქემები • რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა მომსახურების ტექნიკური ნორმები • რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა შესაძლო უწყვილობები • სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები • სიგნალიზაციის ინსტრუქცია • მატრებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია • იცის ელექტრომექანიკოსის სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების სახეები • იცის ელექტრომექანიკოსის სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების ფუნქციონალური დანიშნულება • უსაფრთხოების წესები • საზეინკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოების წესი 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობების ვიზუალურად დათვალიერება ინსტრუქციის მოთხოვნათა მიხედვით; • რკინიგზის ელექტრომომარაგების მომწყობილობების სპეციალური გაზომვების ჩატარება ინსტრუქციის მოთხოვნათა მიხედვით; • სადეფექტო აქტების შედგენა უფროს ელექტრომექანიკოსთან ერთად • სამუშაო აღჭურვილობის სახეების განსაზღვრა რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობების კაპიტალური რემონტისას • სამუშაო მასალებს, ინსტრუმენტებს და დამცავ საშუალებების არჩევა სამუშაოს სპეციფიკის მიხედვით • სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების რაოდენობის დადგენა სამუშაოს მოცულობის მიხედვით • სამუშაო ინსტრუმენტებს და დამცავ საშუალებების გამოყენება უსაფრთხოების წესების დაცვით • საკონტაქტო ქსელის კაპიტალური რემონტის პროექტის წაკითხვა;

		<ul style="list-style-type: none"> • იზოლირებული ასადები კომპურადან საკონტაქტო ქსელზე სამუშაოთა წარმოებისას მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია • ინსტრუქცია ელექტროფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელის დაზიანებათა აღდგენის წესის შესახებ • რკინიგზის საკონტაქტო ქსელის კაპიტალური რემონტის წარმოების წესები • რკინიგზის წვევის ქვესადგურების კაპიტალური რემონტის წარმოების წესები • რკინიგზის ელექტრომომარაგების რაიონის კაპიტალური რემონტის წარმოების წესები 	<ul style="list-style-type: none"> • საკონტაქტო ქსელის კაპიტალური რემონტის ჩატარება ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად • საკონტაქტო ქსელის კაპიტალური რემონტის ჩატარება უსაფრთხოების წესების დაცვით • სამუშაო ადგილის მოწესრიგება დადგენილი წესის შესაბამისად • წვევის ქვესადგურების კაპიტალური რემონტის პროექტის წაკითხვა • წვევის ქვესადგურების კაპიტალური რემონტის ჩატარება ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად • წვევის ქვესადგურების კაპიტალური რემონტის ჩატარება უსაფრთხოების წესების დაცვით • ელექტრომომარაგების რაიონის კაპიტალურ რემონტის პროექტის წაკითხვა • ელექტრომომარაგების რაიონის კაპიტალურ რემონტის ჩატარება ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად • ელექტრომომარაგების რაიონის კაპიტალურ რემონტის ჩატარება უსაფრთხოების წესების დაცვით.
6.	არაგეგმიური სამუშაოების ჩატარება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზოგადი ცნობები რკინიგზების შესახებ • კომპიუტერული ტექნოლოგიები • საზეინკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოების წესი • ელექტრულ დანადგართა მოწყობის ზოგადი წესები 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ავარიის მდებარეობის დადგენა არსებული სქემების მიხედვით • ავარიის შედეგების ლიკვიდაციისთვის შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და სპეციფიკის მიხედვით ბრიგადის შექმნა

- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა სქემები
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა მომსახურების ტექნიკური ნორმები
- რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა შესაძლო უწყვეტობები
- სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები
- სიგნალიზაციის ინსტრუქცია
- მატრებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია
- თანამდებობრივი ინსტრუქციები
- ელექტრომექანიკოსის სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების სახეები;
- ელექტრომექანიკოსის სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების ფუნქციონალური დანიშნულება
- უსაფრთხოების წესები

- ავარიების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოების ჩატარება ინსტრუქციების მოთხოვნათა დაცვით
- რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ინსტრუქციის შესაბამისად შემოვლის ჩატარება
- რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დაცვით შემოვლის ჩატარება
- დადგენილი წესის შესაბამისად აღმოჩენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციის გადაცემა
- ზემდგომის მიერ მოთხოვნილი სამუშაოების შესრულებისას თანამდებობრივი ინსტრუქციების გამოყენება
- სამუშაოს სპეციფიკის მიხედვით შესაბამისი კომპეტენციის პერსონალის შერჩევა
- ზემდგომის მიერ მოთხოვნილი სამუშაოების შესრულება რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა გეგმიური სამუშაოების პარალელურად ინსტრუქციების შესაბამისად
- რიგგარეშე სამუშაოს შესრულებისას თანამდებობრივი ინსტრუქციების გამოყენება
- არაგეგმიურ სამუშაოების შესრულება რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობათა გეგმიური სამუშაოების პარალელურად ინსტრუქციების შესაბამისად;
- საჭირო სამუშაო აღჭურვილობის სახეების განსაზღვრა

			<ul style="list-style-type: none"> • საჭირო სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების შერჩევა სამუშაოს სპეციფიკის მიხედვით • სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების რაოდენობის დადგენა სამუშაოს მოცულობის მიხედვით • სამუშაო ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების უსაფრთხოების წესების დაცვით გამოყენება • საჭირო მასალისა და ინვენტარის შესახებ მოთხოვნის შედგენა არაგეგმიური სამუშაოების ჩატარებისთვის • უსაფრთხოების რევიზორების მიერ აღმოჩენილი დარღვევების სწორად აღმოფხვრა რიგგარეშე სამუშაოების ჩატარების წესის მიხედვით • ბრიგადის დაკომპლექტება თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და სამუშაოს სპეციფიკის მიხედვით • რიგგარეშე სამუშაოების ჩატარება უსაფრთხოების წესების დაცვით
7.	<p>ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების და დამცავი საშუალებების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების გაზომვა</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ელექტრულ დანადგართა მოწყობის ზოგადი წესები • ხაზვის საფუძვლები • წევისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურების მოწყობილობა-დანადგარების სქემები; • წევისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურების მოწყობილობა-დანადგარების შესაძლო უწყესივრობები 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • წევისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურების მოწყობილობა-დანადგარების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების გაზომვის შესაბამისი ხერხების შერჩევა • ტექნოლოგიური ბარათის შესაბამისად გამოზომი საშუალებებისა და გაზომვის მეთოდის შერჩევა

		<ul style="list-style-type: none"> • წვევისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურების მოწყობილობა-დანადგარების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების მოწყობილობების გაზომვის მეთოდები • საკონტაქტო ქსელის მოწყობილობათა სქემები; • საკონტაქტო ქსელის მოწყობილობათა შესაძლო უწესივრობები • საკონტაქტო ქსელის მოწყობილობათა ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების მოწყობილობების გაზომვის მეთოდები • მაღალი და დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების მოწყობილობათა სქემები • მაღალი და დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების მოწყობილობათა შესაძლო უწესივრობები • მაღალი და დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების მოწყობილობათა ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების მოწყობილობების გაზომვის მეთოდები • დამცავი საშუალებების შესაძლო უწესივრობები; • დამცავი საშუალებების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების მოწყობილობების გაზომვის მეთოდები. 	<ul style="list-style-type: none"> • უსაფრთხოების წესების დაცვით გაზომვითი სამუშაოების შესრულება ტექნოლოგიური ბარათის შესაბამისად • საკონტაქტო ქსელის ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების გაზომვის შესაბამისი ხერხების შერჩევა • მაღალი და დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების გაზომვის შესაბამისი ხერხების შერჩევა • დამცავი საშუალებების პარამეტრების გაზომვის შესაბამისი ხერხების შერჩევა • მოწყობილობების კომისიური დათვალიერებებისას თანამდებობრივი ინსტრუქციების გამოყენება • სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით შესაბამისი კომპეტენციის პერსონალის ჩართვა • კომისიური დათვალიერების შედეგების ზუსტი აღრიცხვა ინსტრუქციის შესაბამისად • კომისიური დათვალიერება უსაფრთხოების წესების დაცვით.
8.	პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ორგანიზაციული სტრუქტურა და თანამდებობრივი ინსტრუქციის მიხედვით ელექტრომექანიკოსისა და 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქმიანობა აწარმოოს ორგანიზაციული სტრუქტურისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის მიხედვით

		<p>მთავარი ელექტრომექანიკოსის უფლება-მოვალეობები, აგრეთვე მის დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალის უფლება-მოვალეობები</p> <ul style="list-style-type: none"> • თანამდებობრივი ინსტრუქციის მიხედვით ელექტრომექანიკოსის მიმართ წაყენებული მოთხოვნები კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების მიმართ • თანამდებობრივი ინსტრუქციის მიხედვით მთავარი ელექტრომექანიკოსის მიმართ წაყენებული მოთხოვნები კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების მიმართ • მოთხოვნები პროფესიული განვითარების მიმართ 	<p>საკუთარი და მასზე მიმაგრებული თანამშრომლების უფლება-მოვალეობების განუხრელი დაცვით</p> <ul style="list-style-type: none"> • სამუშაო პროცესში არატიპური შემთხვევის წარმოქმნის დროს • რჩევისთვის ან/და დახმარებისთვის კომპეტენტური პირის განაზღვრა • თანამდებობრივი ინსტრუქციის მიხედვით ელექტრომექანიკოსის მიმართ დადგენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების გამოყენება პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას • თანამდებობრივი ინსტრუქციის მიხედვით უფროსი ელექტრომექანიკოსის მიმართ დადგენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების გამოყენება • საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესის დაგეგმვა • მშობლიურ და უცხოურ ენებზე არსებული ინფორმაციის მიღება და მისი ანალიზი • ინტერნეტში სასურველი ინფორმაციის მოძიება • კომპიუტერული სათარგმნი პროგრამების გამოყენება • პროფესიული განვითარების ღონისძიებების შედეგად მიღებული ახალი ცოდნის პრაქტიკული რეალიზაცია • მის დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაში მონაწილეობის
--	--	--	---

		მიღება თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების გზით.
--	--	---

13. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები:

№	სახელი და გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	მანანა მოისწრაფიშვილი	სსიპ-„ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“,ფასილიტატორი
2	შალვა კვლევტრიშვილი	სსიპ-„ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“,ფასილიტატორი
3	იური ბანცაძე	სს „საქართველოს რკინიგზა“, სწავლების ინსპექტორი
4	შალვა ნადირაძე	სს „საქართველოს რკინიგზა“, ელექტრომომარაგების დეპარტამენტის ექსპლ. სამსახურის უფროსი
5	გრიგოლ ფრანგიშვილი	სს „საქართველოს რკინიგზა“, ელექტრომომარაგების დეპარტამენტის უფროსი
6	გივი კობრეიძე	სს „საქართველოს რკინიგზა“, ელექტრომომარაგების დეპარტამენტის ინჟინერი
7	თამაზ მეგენიშვილი	სს „საქართველოს რკინიგზა“, აღმოსავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს თბილისის ცენტრის უფროსი
8	მალხაზ გოგიშვილი	სს „საქართველოს რკინიგზა“, დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს უფროსის მოადგილე
9	გოჩა ადუაშვილი	სს „საქართველოს რკინიგზა“, ულელტეხილის ელექტრომომარაგების სამმართველოს უფროსი
10	ვალერი ესებუა	სს „საქართველოს რკინიგზა“, ელექტრომომარაგების დეპარტამენტის დეპარტამენტის ტექნიკური განყოფილების უფროსი
11	ვახტანგ ჯმუხაძე	სს „საქართველოს რკინიგზა“, ელექტრომომარაგების და აღრიცხვის სამსახურის უფროსი
12	ნუგზარ გოგიჩაიშვილი	სს „საქართველოს რკინიგზა“, ელექტროენერჯის აღრიცხვისა და მონიტორინგის აუდიტორი

დასახელება: რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი

შეფასების სტანდარტი

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

შეფასების სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლების ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტში ასახული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასების ან/და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებსა და ამოცანებში;
2. შესაფასებელი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ასახავს აუცილებელ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს;
3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების შესაძლებლობებს;
4. გამოცდის პროცესს და კომპონენტებს.

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების გზები:

- ა) ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული კომპეტენციების დადასტურება (ნამდვილობის დადასტურება) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) მიღწეული კომპეტენციების დადასტურება ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით ჩატარებული გამოცდის გზით.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი

ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი მოიცავს მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას (ჩათვლას) სამიხედო კვალიფიკაციის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული პრინციპების შესაბამისად:

ა) დასაშვებია მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა) ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში, თუ სწავლის შედეგები თავსებადია სამიხედო კვალიფიკაციასთან და მათი მიღწევა დადასტურებულია, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დადებითი შეფასებით და შესაბამისი კრედიტის მინიჭებით.

ბ) თავსებადობის დადგენისთვის, შინაარსობრივი შესწავლის მიზნით, ამღიარებელი დაწესებულება ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამა ან პროგრამის კომპონენტი, არსებობის შემთხვევაში - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და სილაბუსებს, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს. ამდღარებელი დაწესებულება უფლებამოსილია აღიარების მიზნებისათვის შესაფასებელ პირს მოსთხოვოს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და წარდგენა.

გ) სწავლის შედეგების თავსებადობის განსაზღვრის მიზნით, აუცილებელი არაა მათი ფორმულირება იყოს იდენტური. თავსებადად ჩაითვლება სწავლის შედეგები, რომლის/რომელთა ერთობლიობაც, შინაარსის თვალსაზრისით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის გათვალისწინებით, შესაძლოა მიჩნეულ იქნას ანალოგიურად.

ნაწილი 2. მითითებები შესაფასებელი პირის ადა შემფასებლისათვის

შეფასების დაწყებამდე გაეცანით:

- პროფესიულ სტანდარტს
- შეფასების ინსტრუმენტებს
- დაინტერესებული/შესაფასებელი პირის კომპეტენციების აღიარებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს
- შეფასების პირობებს
- შეფასების წესებს
- შეფასების კრიტერიუმებს

შეფასების პროცესში:

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებლისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები
- თუ აუცილებელია, შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით
- შეაფასეთ თითოეული კრიტერიუმი

შეფასების დასრულებისას:

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები

- დადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

ნაწილი 3. შეფასების პროცედურა

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ორგანიზების პროცესი და კომპონენტები

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ჩატარების პროცესი მოიცავს დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შესრულების ეტაპებს.

მიუხედავად იმისა, დასტურდება თუ არა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები, შეფასების სტანდარტის ნაწილი 1-ის „შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება“ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, შეფასების პროცესი მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (გამოცდას), რომლის შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების პროცესის მოთხოვნები, ასევე შეფასების სავალდებულო კომპონენტები.

ნაწილი 4. თეორიული გამოკითხვის და პრაქტიკული /დავალებების თემატიკა

გამოკითხვა

გამოკითხვის ფორმა:

- შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის და ზეპირი შეკითხვების სახით;
- ტესტი უნდა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს.

გამოკითხვის პროცესის მონიტორინგი:

არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება;

მოპოვებული მტკიცებულებები

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით/შესრულებული ტესტით ან/და პრაქტიკული დავალების დროს დამატებით, დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხებით.

თეორიული საგამოცდო თემატიკა:

- დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად საგამოცდო თემატიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
 - ა) ინსტრუქტაჟის წარმართვის წესები;
 - ბ) ელექტრომექანიკოსის სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების ფუნქციონალური დანიშნულება;
 - გ) მაღალი და დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების მოწყობილობათა სქემები.

სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 5. პრაქტიკული დავალების/დავალებები შესრულების/შეფასების კრიტერიუმების მითითებებით:

პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება.

საგამოცდო გარემო:

შესაფასებელი პირის შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალებების სახით.

საგამოცდო პროცესის მონიტორინგი:

საგამოცდო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს შემფასებელი/შემფასებლები (ნეიტრალური კომისია) წინასწარი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

მოპოვებული მტკიცებულებები:

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმით.

საგამოცდო პრაქტიკული დავალებების ჩამონათვალი:

დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად სტუდენტმა უნდა შეასრულოს დავალება: რომლებიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ა) უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟის ჩატარება;
- ბ) სამუშაო მასალების, ინსტრუმენტების და დამცავი საშუალებების შერჩევა ტექნიკური მომსახურებისას;
- გ) მაღალი და დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების პარამეტრების გაზომვის სამუშაოების განხორციელება.

გაითვალისწინეთ:

1. შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოებისას ეკონომიური, ხარისხის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, სამართლებრივი, უსაფრთხოების წესების დაცვის,

ჰიგიენის დაცვის მიდგომების, სამუშაოს შესრულების თანამიმდევრობის შეფასება წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილ დავალებებზე დაკვირვების თანამდევ პროცესს და მასზე დამატებითი დროის გამოყოფა არაა რეკომენდებული;

2. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროებისამებრ მოჰყავს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტები;
3. სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 6. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია

შემფასებლის ჩანაწერების ფორმები
შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

დადასტურებული კომპეტენცია	მტკიცებულებები		
	ფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	არაფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	გამოცდა (დანართი N)

შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი:

დადასტურება: